თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 4 ოქტომბერი
მორიგი სხდომის
ოქმი № 15

4 ოქტომბერი 2023 წელი

ქ. თერჯოლა

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის მ/შემსრულებელი დავით გოგბერაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. დავით გოგბერაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემურ ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. მანუჩარი ფანჩულიძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. გრიგოლ გიორგაძე, 17. გოჩა ვერულაშვილი, 18. თამარ ახვლედიანი, 19. ფრიდონ გვენეტაძე, 20. დავით ცხადაძე, 21. ნატალია ასათიანი, 22. მერაბი ბასილაძე, 23. ტარიელ ფანჩულიძე, 24. ივანე ჩუბინიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. კახა ბუცხრიკიძე, 3. რამინი რობაქიძე, 4. კობა კირკიტაძე, 5. რუსუდან კოვზირიძე, 6. როლანდი მესხი

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 24 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ⁴⁵სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282327598 წერილი, 02.10.2023 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.29230112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282327590 წერილი, 02.10.2023 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ(ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N109 -ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.45.949) არსებული 40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ)(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-2823275105 წერილი, 02.10.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6836 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს.კ.33.10.38.431) 103 კვ.მ. ფართობი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით გადაცემის შესახებ) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2823327613, 03.10.2023 წ.);

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 7 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282327143 წერილი, 28.09.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურილი ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282327143 წერილი, 28.09.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

7. საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის

კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 285.6 ათასი ლარით და შეადგენს 30609.5 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი - გადასახადები გაიზარდა 285.6 ათასი ლარით. დამატებითი ღირებულების გადასახადი გაიზარდა 285.6 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 285.6 ათასი ლარით. მერიის დაფინასება გაიზარდა 15.6 ათასი ლარით. დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 150.0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 60.0 ათასი ლარით. ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახლგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით. კულტურის სახლების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით. სოციალური დაცვა გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 , წინააღმდეგი - 5

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 25, 04.10.2023 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.29230112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი- პროგრამაში თანხის მომატების საჭიროება გამოიწვია მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდამ, პროგრამის ბიუჯეტს ემატება 30 000 ლარი და გახდება 255 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.29230112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.2923277001, 04.10.2023 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ(ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109 - ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.45.949) არსებული 40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ) განკარგულების პროექტი- ქირის თანხის რაოდენობა განისაზღვროს 1 m^2 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29232772, 04.10.2023წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6836 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს.კ.33.10.38.431) 103 კვ.მ. ფართობი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით გადაცემის შესახებ) განკარგულების პროექტი - საიჯარო ქირის თანხის ოდენობა განისაზღვროს 103 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე თვეში 50 ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29232773, 04.10.2023წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 7 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 7 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №22, 04.10.2023 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებლმა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურილი ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურილი ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება № 23, 04.10.2023 წ.)

7.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №24, 04.10.2023 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, დავით გოგბერაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 4 ოქტომბრის საკრებულოს მოირიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
მ/შემსრულებელი
დავით გოგბერაშვილი